25 მაისი, 2021 წ. **პრეს რელიზი**

თბილისის წიგნის XXIII საერთაშორისო ფესტივალი ბლოგერების კონკურსს აცხდებს

თბილისის წიგნის 23-ე საერთაშორისო ფესტივალი აცხადებს **ბლოგერების კონკურსს**!

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ ბლოგერს. ავტორი უნდა ეხმაურებოდეს 2020-2021 წლებში ქართულ ენაზე გამოცემულ წიგნებს.

საკონკურსოდ განიხილება მხოლოდ ის ბლოგები, რომლებიც დაიწერა თბილისის წიგნის 23-ე საერთაშორისო ფესტივალის ბლოგერების კონკურსის ფარგლებში და გამოქვეყნდა **2021 წლის 26 მაისიდან 10 ივნისის** ჩათვლით.

საკონკურსო ტექსტს აუცილებელია ახლდეს შემდეგი წარწერა: *"დაწერილია საგანგებოდ თბილისის წიგნის 23-ე საერთაშორისო ფესტივალისთვის"*

ნამუშევრების მიღების **ბოლო ვადაა 10.06.2021**

რეცენზიის გამოქვეყნებისას, გთხოვთ გამოიყენოთ შემდეგი მონიშვნები:

Georgian Publishers and Booksellers Association/საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია

Tbilisi International Book Festival/თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი

ნამუშევრებს შეაფასებს სპეციალური ჟიური. საუკეთესო ბლოგები შევა თბილისის წიგნის XXIII საერთაშორისო ფესტივალის კატალოგში და გამოქვეყნდება ფესტივალის ვებ გვერდზე: www.tbilisibookfestival.ge

ფესტივალის ორგანიზატორმა, საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციამ, საუკეთესო **სამი ბლოგის** ავტორებისათვის დააწესა პრიზები – ვაუჩერები, რომლითაც გამარჯვებულები ფესტივალის ფარგლებში შეძლებენ წიგნების შეძენას:

- I ადგილი – 150 ლარი;
- II ადგილი – 100 ლარი;
- III ადგილი – 50 ლარი.

მონაწილეობის მისაღებად ელექტრონული ფოსტის მისამართზე info@gpba.ge, არაუგვიანეს **10 ივნისისა**, უნდა გამოაგზავნოთ:

- ბლოგის ბმული (რომელიც განთავსებული იქნება ავტორის ბლოგზე ან ფეისბუქზე, ნოუთის სახით);
- ბლოგის ავტორის სახელი, გვარი;
- ბლოგის ავტორის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი.

თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზატორია **საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია**. ფესტივალის მხარდამჭერია **თბილისის მერია**. ფესტივალის მეგობარია **თიბისი**.

გისურვებთ წარმატებებს!

საკონტაქტო პირი:

ნინო წურწუმია

+995 555 64 90 19

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი